

Legal expertise.
Business understanding.
It's all connected.

საგადასახადო & სამართლებრივი სიახლეები
ოქტომბერი 2020 წ.



საქართველოს კანონი “რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ”

მოვალის გადახდისუნარობა

2020 წლის 25 სექტემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი “რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ”.

- კანონის მიხედვით გადახდისუნარობა სახეზეა, როცა მოვალე ვერ ფარავს ვადამოსულ ვალდებულებებს. საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ მოვალე გადახდისუნაროა, როცა:

- ის აჩერებს საქმიანობას;
- იმყოფება ან განცხადების შეტანამდე ბოლო 12 თვის განმავლობაში იმყოფებოდა მოვალეთა რეესტრში;
- მოვალის მიმართ განცხადების შეტანამდე არანაკლებ 30 დღის განმავლობაში მოქმედებს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიება;
- კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

გადახდისუნარობის დაწყების შესახებ განცხადება

- გადახდისუნარობის დაწყებაზე განცხადებით შეიძლება მიმართოს:
 - მოვალემ;
 - კრედიტორმა;
 - რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველმა;
 - რეაბილიტაციის მმართველმა/გაკოტრების მმართველმა კონვერსიის მოთხოვნით (ანუ რეაბილიტაციის რეჟიმის გაკოტრების რეჟიმით ცვლილების მოთხოვნისას ან პირიქით).

რეგულირებული შეთანხმება

- კანონით გათვალისწინებული სიახლეა რეგულირებული შეთანხმების შემოღება. რეგულირებული შეთანხმება არის მოვალესა და კრედიტორებს შორის მიღწეული შეთანხმება, რომლის დროსაც თითოეული კრედიტორი იღებს მინიმუმ იმდენს, რასაც ის მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა, გარდა გამონაკლისის შემთხვევებისა.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27 სექტემბერი 2020



ცვლილებები „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში

2020 წლის 25 სექტემბერს გამოქვეყნდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები, რომლის მიხედვითაც 2020 წლის 4 ნოემბრიდან იცვლება შემდეგი საკითხები:

ეკონომიკური აგენტის ცნება

- ფართოვდება ეკონომიკური აგენტის ცნება. კანონის მიხედვით, ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა.

კონცენტრაცია

- კონცენტრაციასთან დაკავშირებული საკითხები:
 - ცვლილების მიხედვით, თუ კონცენტრაცია განხორციელდა და ეკონომიკურმა აგენტმა/ეკონომიკურმა აგენტებმა შესაბამის ვადაში არ განახორციელა/არ განახორციელეს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები, სააგენტო ეკონომიკურ აგენტს/აგენტებს აკისრებს ჯარიმას. აგრეთვე, სასამართლოს წარუდგენს შუამდგომლობას თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ.
 - კანონის მიხედვით, თავდაპირველი მდგომარეობის აღსადგენად ეკონომიკურ აგენტს შეიძლება დაეკისროს სხვადასხვა ვალდებულება, მათ შორის, საწარმოს, წილის, აქტივების, ფასიანი ქაღალდების ან მათი ნაწილის გასხვისების, რეორგანიზაციის განხორციელების, კონკრეტული ხელშეკრულების შეწყვეტის ვალდებულებები.
 - ცვლილების მიხედვით, თუ ეკონომიკური აგენტი არ დაასაბუთებს საწინააღმდეგოს, ივარაუდება რომ როდესაც კონცენტრაცია წარმოქმნის ან აძლიერებს დომინანტურ მდგომარეობას, ასეთი კონცენტრაცია არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე.
 - კონცენტრაციის შეტყობინების განხილვის საფასური შეადგენს 5,000 ლარს.
- ცვლილების მიხედვით, აკრძალვა კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებაზე, გადაწყვეტილებასა და შეთანხმებულ ქმედებაზე ვრცელდება როგორც ეკონომიკურ აგენტებს ისე ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციებს შორის.

ინფორმაციის წარმოდგენლობა

- ეკონომიკური აგენტის მიერ ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში, სააგენტოს ეძლევა უფლება დოკუმენტაციის გამოთხოვის მოთხოვნით, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით არამხოლოდ მოკვლევის, არამედ, საკითხის შესწავლის ეტაპზეც. მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდებისას, ეკონომიკური აგენტი დაჯარიმდება 3,000 ლარის ოდენობით. განმეორებითი დარღვევისას 5,000 ლარის ოდენობით. აღნიშნული არ ათავისუფლებს მხარეს ვალდებულების შესრულებისგან.



- ცვლილების მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია სრულად გადასინჯოს სააგენტოს გადაწყვეტილება, მათ შორის, ჯარიმის ოდენობის ნაწილში.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27 სექტემბერი 2020

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის №2 ბრძანება ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე

2020 წლის 20 ოქტომბრიდან ამოქმედდება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის №2 ბრძანება ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე. ბრძანების მიხედვით:

- ანგარიშვალდებულმა პირმა კლიენტი ფიზიკური პირის იდენტიფიკაციის მიზნით უნდა მოიპოვოს შემდეგი საიდენტიფიკაციო მონაცემები:
 - სახელი და გვარი;
 - დაბადების თარიღი;
 - პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - პირადობის ან/და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი;
 - სქესი;
 - მოქალაქეობა;
 - დაბადების ადგილი (ქალაქი, ქვეყანა);
 - ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის და რეგისტრაციის მისამართი.
- კლიენტი ფიზიკური პირის ვერიფიკაცია უნდა განხორციელდეს შემდეგ დოკუმენტებზე დაყრდნობით:
 - საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში – საქართველოს მოქალაქის პასპორტი, პირადობის მოწმობა ან მართვის მოწმობა, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა;
 - აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში ლეგიტიმურად მცხოვრები პირის შემთხვევაში – პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი;
 - უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – ბინადრობის მოწმობა, დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა, პასპორტი, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე საქართველოს საბაჟო საზღვრის კვეთისთვის ნებადართული სხვა დოკუმენტი ან უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა;
 - მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში – ბინადრობის მოწმობა, დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა ან სამგზავრო პასპორტი;
- კლიენტი ფიზიკური პირის ვერიფიკაციის მიზნით მოპოვებული დოკუმენტი, გარდა დაბადების მოწმობისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და

კლიენტი ფიზიკური პირის
იდენტიფიკაცია

კლიენტი ფიზიკური პირის
ვერიფიკაცია



კლიენტი იურიდიული პირის იდენტიფიკაცია

არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერისა,
უნდა შეიცავდეს ფოტოსურათს და უნდა იყოს მოქმედი.

- ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოიპოვოს შემდეგი
საიდენტიფიკაციო მონაცემები კლიენტი იურიდიული პირის
იდენტიფიკაციისთვის:
 - სახელწოდება;
 - რეგისტრაციის თარიღი;
 - იურიდიული მისამართი;
 - საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - რეგისტრაციის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - სამართლებრივი ფორმა;
 - ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მისამართი.
 - მისი ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი
უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის ბრძანებით
განსაზღვრული საიდენტიფიკაციო მონაცემები.
- ანგარიშვალდებულის პირი ვალდებულია, შეინახოს კლიენტის
იდენტიფიკაციის და ვერიფიკაციის მიზნით ამ წესის მიხედვით
მოპოვებული საიდენტიფიკაციო მონაცემები, ინფორმაცია ან/და
დოკუმენტები საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტიდან ან
ერთჯერადი გარიგების დადებიდან 5 წლის განმავლობაში.
- ინფორმაციის შენახვისას, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა
დააფიქსიროს ვერიფიკაციის მიზნით მოპოვებული
დოკუმენტის გამცემი ქვეყანა, მოქმედების ვადა, გაცემის ან/და
დამოწმების თარიღი, კლიენტის სახელით მოქმედი პირის
უფლებამოსილების ფარგლები.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27 სექტემბერი 2020

დოკუმენტის შენახვის ვალდებულება

კანონის პროექტი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

2020 წლის 29 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე
მოსმენით მიიღო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი.
ცვლილებები მოიცავს ცვლილების შეტანას საქართველოს შრომის
კოდექსში, ახალი კანონის მიღებას „შრომის ინსპექციის შესახებ“ და
სხვა ცვლილებებს დაკავშირებულ დოკუმენტებში.

სტაჟირება

- კანონპროექტი, მათ შორის, მოიცავს ცვლილებებს
დისკრიმინაციის აკრძალვის, შრომითი ხელშეკრულებების
არსებითი პირობების, სტაჟირების და საწარმოს გადაცემის
შესახებ.
- კანონპროექტის მიხედვით, შრომის კოდექსში იგეგმება
სტაჟიორის ცნების შემოტანა.
- კანონპროექტით, სტაჟიორი არის ფიზიკური პირი, რომელიც
ანაზღაურების სანაცვლოდ ან მის გარეშე ასრულებს სამუშაოს
კვალიფიკაციის ასამაღლებლად, პროფესიული ცოდნის,
უნარების ან პრაქტიკული გამოცდილების მიღების მიზნით.
- არანაზღაურებადი სტაჟირების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6
თვეს, ხოლო ანაზღაურებადი სტაჟირების ვადა - 1 წელს.



ზეგანაკვეთური სამუშაო

- ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება ნორმირებულ სამუშაო დროს. ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.
- კანონის პროექტის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია წინასწარ 1 კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს დასაქმებულს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია დამსაქმებლის ობიექტური საჭიროებიდან გამომდინარე.
- კანონპროექტით რეგულირდება 22 საათიდან 6 საათამდე მუშაობა (დამის მუშაობა).
- მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიანი სამუშაოს შესრულებისას, დამის სამუშაოზე მომუშავე დასაქმებულისთვის 24-საათის განმავლობაში სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს.
- სახელმწიფო ზედამხედველობას შრომის კანონმდებლობაზე უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შრომის ინსპექცია.

შრომის ინსპექცია

- შრომის ინსპექციის შესახებ კანონის პროექტის თანახმად, შრომის ინსპექციის სამსახურს შეუძლია განახორციელოს ინსპექტირება საკუთარი ინიციატივით ან ნებისმიერი პირის განცხადების საფუძველზე. დარღვევის დადგენის შემთხვევაში, დამრღვევ პირს შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 29 სექტემბერი 2020



„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი

2020 წლის 8 სექტემბერს საქართველოს პარლამენტს წარედგინა კანონის პროექტი „მეწარმეთა შესახებ“ და მასთან დაკავშირებული კანონპროექტები. კანონის პროექტი არეგულირებს შემდეგ საკითხებს:

ხელმძღვანელი

- სამეწარმეო საზოგადოებაში ხელმძღვანელი პირის საკითხი:
 - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას/სააქციო საზოგადოებას/კოოპერატივსა და ხელმძღვანელ პირს შორის იდება სასამართლო ხელშეკრულება. აღნიშნულ ხელშეკრულებაზე არ ვრცელდება შრომის სამართლის დებულებები.
 - ხელმძღვანელი პირი თანამდებობაზე ინიშნება არაუმეტეს 3 წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
 - თუ ვადის ამოწურვის შემდეგ არ შეიცვლება ხელმძღვანელი პირი რეესტრში, რეგისტრირებული პირის უფლებამოსილების ვადა ითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით.

საფირმო სახელწოდება

- საფირმო სახელწოდება:
 - მეწარმის, გარდა ინდივიდუალური მეწარმისა, საფირმო სახელწოდება უნდა განსხვავდებოდეს უკვე რეგისტრირებული სახელწოდებისგან.
 - სახელწოდება უნდა შეიცვალოს თუ ეს საჭიროა სხვა კომპანიის სახელწოდებისგან განსასხვავებლად.

ხარვეზიანი საზოგადოება

- თუ საზოგადოების რეგისტრირებული მონაცემები აღარ შეესაბამება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეგისტრაციის სავალდებულო პირობებს, მარეგისტრირებული თავისივე ინიციატივით ანიჭებს ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსს.
- კანონის პროექტის მიხედვით, კანონი უნდა ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან. კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებული საწარმო ვალდებულია, სარეგისტრაციო მონაცემები შესაბამისობაში მოიყვანოს ამ კანონის მოთხოვნებთან კანონის ძალაში შესვლიდან 2 წლის ვადაში.

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 25 სექტემბერი 2020





ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ ცვლილებებს თქვენს საქმიანობაზე.

სერგი კობახიძე

პარტნიორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა

E-mail: sergi.kobakhidze@pwc.com

ტელ: + 995 32 250 80 50

ვანო გოგელია

იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი

E-mail: vano.gogelia@pwc.com

ტელ: + 995 32 250 80 50

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 276,000 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 157 ქვეყნის 742 ოფისში.

PwC-ის იურიდიული პრაქტიკა

PwC-ის გლობალური ქსელის მრავალმხრივი გამოცდილება, ჩვენი ადგილობრივი ცოდნა, იურიდიული და ბიზნეს ხედვები, ქსელში დანერგილი ტექნოლოგიური ინოვაციები, დაგეხმარებათ თქვენი ბიზნესის ახალი შესაძლებლობების გამოვლენაში.



აღნიშნული მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შეშავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაყრდნობის ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2020 PwC. ყველა უფლება დაცულია. "PwC" ნიშნავს შპს ფრანსუოთერპაუსკუპერს საქართველოს როგორც წევრ ფირმას, და ზოგ შემთხვევაში PwC-ის ქსელს, რომელშიც შეშავალი თითოეული ფირმა არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure.